



# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 80

2011 წლის 24 ივნისი  
ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის საკომპენსაციოდ  
ჰუმანიტარული დახმარების გაყვანასთან დაკავშირებით  
კომისიის შექმნის შესახებ

მიმდინარე წლის 18 ივნისს მდინარე სურამულას ადიდებამ უდიდესი ზარალი მიაყენა დაბა სურამსა და ქ. ხაშურის ინფრასტრუქტურას, დაზარალებულია მდინარის ორივე სანაპიროს მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა. საერთაშორისო ორგანიზაციების და სხვადასხვა კერძო კომპანიების მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტს გადაეცა ჰუმანიტარული დახმარება, რომელიც უმოკლეს ვადაში უნდა გაუნაწილდეს დაზარალებულ ოჯახებს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის საკომპენსაციოდ ჰუმანიტარული დახმარების განაწილებასთან დაკავშირებით შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ნიკოლოზ სახვაძე – ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე –  
კომისიის თავმჯდომარე;
- რომან გრიგალაშვილი – ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე –  
კომისიის წევრი;
- იოსებ სებისკვერაძე – ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანაშემწე – კომისიის წევრი;
- ალექსანდრე მჭედლიძე – ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და  
სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი;
- გიორგი ცერცვაძე - გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის  
სპეციალისტი - კომისიის წევრი;
- დალი მარანელი - გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის სპეციალისტი  
- კომისიის წევრი;
- მაია ქიტიაშვილი - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის სპეციალისტი - კომისიის წევრი;
- ნინო სუხიაშვილი - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის სპეციალისტი - კომისიის წევრი;
- ნინო ლომიძე - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საფინანსო-საბიუჯეტო  
განყოფილების სპეციალისტი - კომისიის წევრი;
- მეგლუდ ლომიძე - ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლის დირექტორი - კომისიის წევრი.

2. ეს განკარგულება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, ვოსტავას ქ. N15) 1 თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ლომიძე

